განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტის

კანონპროექტის მიღება მიზნად ისახავს საქართველოს უსაფრთხოებასა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. საქართველო, დღემდე განიცდის რუსეთის ფედერაციის მხრიდან ოკუპაციას და აგრესიას შესაბამისად, ვალდებულია გაატაროს ქმედითი სამართლებრივი მექანიზმები აგრესიის და ოკუპაციის შესაჩერებლად, მომავალი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, ამავდროულად იმ ღირებულებების დასაცავად, რომელზეც დგას დასავლური, თავისუფალი სამყარო.

რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული სამხედრო აგრესიის ფონზე, გამოიკვეთა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მკვეთრი შემოდინება საქართველოს ტერიტორიაზე. კერძოდ 2022 წლის 24 თებერვლიდან, 2022 წლის 20 მარტამდე საქართველოში 35 028 რუსეთის მოქალაქეა შემოსული. რუსეთის მოქალაქეების დიდი ნაკადი ჩვენი სახელმწიფოსთვის არაერთი მიმართულებით საფრთხის შემცველია, იმის გათვალისწინებით, როცა რუსეთი მტრულად არის განწყობილი საქართველოს მიმართ და ყოველდღიურად ახორციელებს ე.წ. ,,მცოცავ ოკუპაციას”. რუსეთის მოქალაქეების ასეთი მასშტაბებით შემოდინება შეიცავს გარკვეულ რისკებს, ქვეყანაში შესაძლოა შემოვიდნენ დივერსიული ჯგუფები, ან რუსული სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლები, რომელთა მიზანი არამხოლოდ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება, არამედ, მათ შორის სახელმწიფოს საზიანოდ მიმართული აქტიური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება იქნება.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონპროექტის მიღების აუცილებლობა

კანონის მიღების აუცილებლობა გამოწვეულია ძირითადი კანონიდან გამომდინარე. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის მიღებით საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლები დაზუსტდება და გაფართოვდება. ამასთან, ხსენებული კანონით მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოში უვიზოდ შემოსვლა და ერთი წლის განმავლობაში ყოფნა შეუძლიათ- კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ეს ვადა შეუმცირდებათ 90 დღემდე. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია რეგიონში არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე და ემსახურება საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის გამკაცრებას.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის მიღებით საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლები ფართოვდება, რაც სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას მეტი კონტროლი განახორციელოს სახელმწიფო საზღვარზე და იმოქმედოს ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.

ასევე, კანონით მოქალაქეებს, რომლებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა და საქართველოში ყოფნა სრული ერთი წლის ვადით, ეს ვადა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შეუმცირდებათ 90 დღემდე. აღნიშნული ცვლილებების

მოსალოდნელ შედეგს წარმოადგენს, საქართველოს უსაფრთხოების დაცვა, კერძოდ, იმ ქვეყნების მოქალაქეების ნაკადის კონტროლით, რომელსაც საქართველოს წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ განხორციელებული აქვს სამხედრო აგრესია და დარღვეული აქვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

ა. გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის მე-10 მუხლის 3[1] პუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის 3[2] ქვეპუნქტი:

- იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, დარღვეული აქვთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ვერ ისარგებლებენ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთწლიანი საგამონაკლისო ვადით. ამ ქვეყნის მოქალაქეებს უფლება აქვთ საქართველოში შემოვიდნენ და იმყოფებოდნენ 90 კალენდარული დღის ვადით ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში. აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება, იმ პირებს, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა ჰქონდათ, აქვთ ან შეუწყდათ საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ მე-19 მუხლის შესაბამისად.

ხოლო ამავე კანონის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის ე1 და ვ2 ქვეპუნქტები

- ე1) თუ მას დარღვეული აქვს საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.
- ვ1) სანქცირებულია ევროკავშირის ან ნატო-ს წევრი ქვეყნების მიერ.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში

აღნიშნული პუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილი კანონპროექტის მიმართებით.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

კანონპროექტით გათვალისწინებული მუხლი ძალაში შევიდეს მისი გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან ინიციატივის მიზანი და შინაარსი მოითხოვს მის დროულ ამოქმედებას. კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუ ძალის მინიჭების საკითხს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება

ინიციატორი არ ითხოვს დაჩქარებული წესით განხილვას

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალო ვადიან პერიოდში (პროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი) :

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული რაიმე სახის ხარჯების დაფინანსებასთან და შესაბამისად, არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მითითებას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროეტის მიღებას არ ექნება გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:
კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია პროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:
კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა ფინანსური გავლენა იქონიოს იმ პირებზე, რომელთა მიმართ გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტის გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
კანონპროექტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) შემოღებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე პროექტის ზეგავლენის შეფასება;
კანონპროექტის არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:
კანონპროექტის არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება პროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი.

კანონპროექტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:
ასეთი არ არსებობს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში.
კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებსა და სამუშაო ჯგუფებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ.
ასეთი არ არის

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას.
ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის პროექტის ავტორი
ლევან ბეჟაშვილი, ხატია დეკანოიძე, ანა წითლიძე, აკაკი მინაშვილი

ვ) კანონპროექტის პროექტის ინიციატორი
ლევან ბეჟაშვილი, ხატია დეკანოიძე, ანა წითლიძე, აკაკი მინაშვილი